ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი.

ფაკულტეტი:

სამართალმცოდნეობა და საჯარო მმართველობა

თამარი სურმანიძე

კატეგორიული სილოგიზმის მესამე და მეოთხე ფიგურა და მათი სახეობები

სპეციალობა: მათემატიკა

ნაშრომი შესრულებულია მათემატიკის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად.

ხელმძღვანელი: პროფესორი დავით ზარნაძე

ხიჭაური. 2021.

ანოტაცია

სამაგისტრო ნაშრომის **კვლევის ობიექტი და საგანი** დედუქციური მსჯელობის ერთ-ერთი სახის, კატეგორიული სილოგიზმის მესამე და მეოთხე ფიგურის სახეობების (მოდუსების) განხილვაა. თითოეულ ფიგურაში 64 სახეობის დასკვნაა, რომელთაგან ჭეშმარიტია მხოლოდ 6, დანარჩენი კი მცდარია. ეს დასკვნები ისე ემსგავსებიან ერთმანეთს, რომ გარკვეული ცოდნის გარეშე რთულია მათი ჭეშმარიტობისა და მცდარობის გარჩევა. წინამდებარე **სამაგისტრო ნაშრომის ამოცანა**, სწორედ კატეგორიული სილოგიზმის III და IV ფიგურის ჭეშმარიტი და მცდარი მოდუსების დეტალური შეფასება/განხილვა, მათი გამოსახვა ეილერ-ვენის დიაგრამებითა და ანალიტიკური მსჯელობებით მტკიცებებაა. აგრეთვე ჭეშმარიტი მოდუსების ტოლფასობის გარკვევაა. **კვლევის მეთოდი** ეილერ-ვენის დიაგრამები და ანალიზური მსჯელობებია.

მოცემული საკითხი **აქტუალურია** ჩვენს ყოველდღიურობაში: თითქოსდა მარტივი კამათი თუ უბრალოდ, ზოგადი საუბრიდან აზრის გამოტანის უნარიც კი ხშირად კატეგორიულ სილოგიზმამდე მიდის.

ამასთან საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ სასკოლო სახელმძღვანელოებში და ეროვნულ გამოცდებში, ხშირად გვხვდება კატეგორიული სილოგიზმის შინაარსის ვერბალური სავარჯიშოები და ტესტები. შესაბამისად მისი შესწავლა განსაკუთრებით საინტერესო და სასარგებლო იქნება საშუალო საფეხურის მოსწავლეებისა და აბიტურიენტებისათვის. მითუმეტეს, რომ ამ საკითხის შესწავლა და მისი წარმოდგენა მტკიცებითი, თუ სიმრავლური სახით ნაკლებად ხდება. **ნაშრომის მიზანი** კატეგორიული სილოგიზმის საკითხების გასაგები და საინტერესო ფორმით მისაწვდომობაა.

სამაგისტრო ნაშრომი მოცემულია თაბახის 85 გვერდზე. მოიცავს ანოტაციას, სარჩევს, შესავალს, ძირითად ნაწილს და დასკვნას. ნაშრომს თან ახლავს გამოყენებული ლიტერატურის სია.

Annotation

სარჩევი

შესავალი

21-ე საუკუნეში მსოფლიო მოიცვა ახალმა იდეებმა და მიღწევებმა, რომლებიც მოითხოვს ლოგიკურ-ანალიტიკურ აზროვნებას. ანალიტიკური აზროვნება არის ის უმნიშვნელოვანესი უნარი, რომელიც ცხოვრების ნებისმიერ ეტაპზე, ნებისმიერ სფეროში ჭეშმარიტი და სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღების გარანტიაა. ანალიტიკური აზროვნების განსაკუთრებით **აქტუალურ** საკითხად დედუქციური მსჯელობა და მისი ერთ-ერთი სახე - კატეგორიული სილოგიზმი მიიჩნევა. ვერ შეხვდებით კონკურსს, ვაკანსიას, სტაჟირებას, სადაც ძირითად მოთხოვნებში ანალიტიკური აზროვნება არ ფიგურირებდეს. სწორედ ამ უნარის მნიშვნელობიდან გამომდინარე, წინამდებარე ნაშრომი კატეგორიული სილოგიზმის III და IV ფიგურის ჭეშმარიტი და მცდარი მოდუსების დეტალური შეფასება/განხილვაა, რისი ცოდნაც გონების გავარჯიშებაში, ანალიტიკურ უნარის გაუმჯობესებასა და ინტელექტის ამაღლებაში დაეხმარება მკითხველს.

ნაშრომის I **თავი** მოიცავს მარტივი კატეგორიული წინადადებების შემცველ მსჯელობებს, სადაც განხილულია მარტივი კატეგორიული წინადადებები და მათი ჭეშმარიტობის პირობები.

კატეგორიული სილოგიზმი შედგება - ორი წანამძღვრისა და დანასკვისაგან, რომლებიც მარტივი კატეგორიული წინადადებებია და ერთობლივად შეიცავენ 3 ტერმინს: სამი ტერმინიდან ერთი შედის ორივე წინადადებაში და შესაბამისად მას **საშუალო ტერმინი** (Middle - საშუალო) ეწოდება. იგი აღინიშნება M ასოთი და იგი დასკვნაში აღარ შედის. დიდი ტერმინი აღინიშნება P ასოთი, ხოლო მცირე - **S**-ით.

კატეგორიული სილოგიზმის სახეებს, რომლებიც ერთმანეთისგან განსხვავდებიან საშუალო ტერმინის ადგილით წანამძღვრებში, **კატეგორიული სილოგიზმის ფიგურები** ეწოდება. არსებობს კატეგორიული სილოგიზმის ოთხი ფიგურა.

I ფიგურა	II ფიგურა	III ფიგურა	IV ფიგურა
$(M\text{-}P)\wedge(S\text{-}M)=S\text{-}P$	$(P\text{-}M)\wedge(S\text{-}M)= S\text{-}P$	$(M\text{-}P)\wedge(M\text{-}S)=S\text{-}P$	$(P\text{-}M)\wedge(M\text{-}S)=S\text{-}P$

ჩვენი ამოცანაა დავადგინოთ III და IV ფიგურის მოდუსების ან ჭეშმარიტობა ან მცდარობა და მოვიყვანოთ შესაბამისი მტკიცება.

კატეგორიული სილოგიზმში გვაქვს 4 ფიგურა და თითოეულ ფიგურას 64 სახეობა. მთლიანად 256 (64X4) მოდუსი. მათგან 24 ჭეშმარიტია, ექვს-ექვსი თითოეულ ფიგურაში.

განვიხილოთ კატეგორიული სილოგიზმის III ფიგურის მოდუსის ერთ-ერთი მაგალითი:

- **ყველა M კურდღელი არის P სტაფილოსმჭამელი.**
- **ყველა M კურდღელი არის S ცხოველი.**

დანასკვი - ყველა S ცხოველი არის P სტაფილოსმჭამელი.

მოცემულ სილოგიზმში ორივე, წანამძღარიც და დასკვნაც, ზოგად-დადებითი კატეგორიული მსჯელობებია. პირველ ორ წინადადებას შორის კავშირი გასაგებია, რადგან, კურდღელი სტაფილოსმჭამელიცაა და ცხოველიც, მაგრამ დასკვნა, რომელიც გაკეთდა (**ყველა ცხოველი არის სტაფილოსმჭამელი**), არასწორია. რატომ? მართალია, ზოგიერთი ცხოველი სტაფილოსმჭამელიც არის მაგრამ ხორცისმჭამელი ცხოველებიც ხომ არიან? მაგალითად ლომი, ვეფხვი და სხვა მტაცებელი ცხოველები, რომელთათვისაც სტაფილო ნამდვილად არ წარმოადგენს სასურველ სადილს. მაშასადამე, ეს მსჯელობა არასწორია.

ნაშრომის პირველი თავში სწავლების საწყის ეტაპზე შესწავლილი ლოგიკურ-ანალიტიკური მსჯელობების გააზრება და იმ ანალოგიების გამოკვეთაა, რაც არსებობს კატეგორიული სილოგიზმის ფორმებსა და მოდუსებს შორის. ასევე ხდება ლოგიკის მრავალი საკითხის ახლებური გააზრება, რომლებიც დაკავშირებულია ეროვნული გამოცდების ტესტებთან.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მარტივი კატეგორიული წინადადებების ჭეშმარიტობის, მცდარობის, და ურთიერთდამოკიდებულების საკითხებს. განიხილება სილოგიზმები, რომელიც შემოტანილია მეცნიერებაში ჯერ კიდევ ძვ. წ. აღრ. IV საუკუნეში უდიდესი ბერძენი ფილოსოფოსის არისტოტელეს (ძვ. წ. აღრ. 384-322) მიერ. სილოგიზმის შესწავლას საქართველოში საკმაო იტორია აქვს [1], ის

განხილული იყო XI კლასის ლოგიკის სახელმძღვანელოშიც [2]. ამ ტიპის ლოგიკური სავარჯიშოებით გაჯერებულია ზოგადი უნარების ლოგიკისა და ტესტების კრებულები. ასეთი სავარჯიშოების ანალიზისათვის შესაბამისი მსჯელობები ჭეშმარიტი მოდუსებისათვის ჩატარებულია [3], [4] წიგნებში (ცნებები და მათი განმარტებები აღებულია ძირითადად [4] წიგნიდან). თუმცა ხშირად გვხვდება კატეგორიული სილოგიზმის შინაარსის ვერბალური სავარჯიშოები და ტესტები აბიტურიენტების ეროვნული გამოცდების ტესტებში [5], [6] და სამაგისტრო გამოცდების ტესტებში [7], აგრეთვე მათემატიკის სასკოლო სახელმძღვანელოებში [8], [9]. მათგან ზოგიერთი განხილულია [4] წიგნის X თავში. ამასთანავე ჭეშმარიტი მოდუსები დეტალურად განხილულია და შესწავლილია წიგნებში [3], [4] და [10]. შესაბამისად კატეგორიული სილოგიზმის ცოდნა განსაკუთრებით საინტერესო იქნება საშუალო საფეხურის მოსწავლეების, აბიტურიენტებისა და მაგისტრატურაში ჩამბარებელთათვის.

წინამდებარე ნაშრომის **II თავში** დეტალურად განიხილება კატეგორიული სილოგიზმის III და IV ფიგურის ჭეშმარიტი და მცდარი მოდუსები. მათი გამოსახვისათვის **გამოყენებულია** ეილერ-ვენის დიაგრამების **მეთოდი** და მტკიცება ხდება ანალიტიკური მსჯელობებით. ამავე თავში გამოკვლეულია ჭეშმარიტი მოდუსების ტოლფასობა. კატეგორიული წინადადებების თვისებების საფუძველზე, 24 ჭეშმარიტი მოდუსი დაიყვანება 12 ჭეშმარიტ მოდუსზე, ანუ საბოლოოდ 256 მოდუსიდან რეალურად ჭეშმარიტი გვრჩება მხოლოდ 12 განსხვავებული მოდუსი. მათი ნიშან-თვისებები ასევე გამოსახულია ეილერ-ვენის დიაგრამებით.

აღსანიშნავია, რომ კატეგორიული სილოგიზმის თეორიის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა გაირკვეს მოცემული ფიგურის მოცემული სახეობის ან ჭეშმარიტობა ან მცდარობა.

ნაშრომის დასასრულს კი წარმოდგენილია კატეგორიული წინადადებებზე ის სავარჯიშოები, რომლებიც გვხვდება სასკოლო სახელმძღვანელოებში თუ საგამოცდო ტესტებში. რომელთა სტრუქტურა და პასუხები ახსნილია როგორც ანალიზურად ისე ეილერ-ვენის დიაგრამებით.

სამწუხაროდ, ლოგიკურ-ანალიტიკური აზროვნების საკითხების ცალკე

სწავლებას ძალიან მცირე ადგილი უჭირავს დღევანდელი საჯარო სკოლის პროგრამებში. წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომი კატეგორიული სილოგიზმის შესწავლისაკენ ერთ-ერთ წინგადაგმულ ნაბიჯად შეიძლება ჩაითვალოს, რადგანაც მისი **მიზანია** კატეგორიული სილოგიზმის მესამე და მეოთხე ფიგურის ჭეშმარიტი და მცდარი მოდუსების დეტალური შესწავლა. მათი გამოსახვა ეილერ-ვენის დიაგრამებით და მტკიცებები ანალიტიკური მსჯელობებით. ის დანამატი იქნება საგნის „ლოგიკურ-ანალიტიკური აზროვნება" [11] ჩამოყალიბებისა (საგნის სტანდარტი იხილე ([4], გვ. 407-426) და ანალიტიკური აზროვნების სწავლების შესახებ პატრიარქის დარიგების შესრულების მიმართულებით.

ნაშრომის დამუშავების პროცესში გამოყენებულია საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ლიტერატურა, ინტერნეტ ტექნოლოგიები,სტატიები, ჟურნალები და ელექტრონული რესურსები.

თავი I. მარტივი კატეგორიული წინადადებების შემცველი მსჯელობები

§1 მარტივი კატეგორიული წინადადებები.

მარტივ წინადადებას, რომელშიც ორ ცნებას (ორ ტერმინს) შორის კავშირია გამოთქმული, **მარტივი კატეგორიული წინადადება** ეწოდება. ამ ორი ტერმინიდან ერთი აღნიშნავს იმას, რაზედაც გამოვთქვამთ აზრს, მას ამ წინადადების **სუბიექტი** the subject term) ეწოდება. მეორე ზოგადი ტერმინი გამოხატავს იმას, რასაც გამოვთქვამთ სუბიექტზე, მას **პრედიკატი** (the predicate term) ეწოდება (ეს სიტყვები ქართულად ნიშნავს ქვემდებარესა და შემასმენელს). სუბიექტსა და პრედიკატს მარტივი კატეგორიული წინადადების ტერმინებს უწოდებენ.

მარტივი კატეგორიული წინადადებები შეიძლება განსხვავდებოდეს ერთმანეთისგან თვისობრიობისა და რაოდენობრიობის მიხედვით. თვისებრიობის მიხედვით მარტივი კატეგორიული წინადადება შეიძლება იყოს **დადებითი და უარყოფითი:** თუ წინანდადებში დასტურდება, რომ სუბიექტში მოაზრებულ საგნებს ახასიათებთ პრედიკატით გამოთქმული თვისება, მაშინ წინადადება დადებითია (affirmative). თუ სუბიექტში მოაზრებულ საგნებს არ ახასიათებს პრედიკატით გამოთქმული თვისება, მაშინ წინადადება უარყოფითია (negative). ტერმინებს შორის დადებითი კავშირი უმეტესად გამოითქმება სიტყვით ,,არის", ხოლო უარყოფითი კავშირი სიტყვებით ,,არ არის".

რაოდენობრიობის მიხედვითაც მარტივი კატეგორიული წინადადებების ორი ჯგუფი არსებობს: **ზოგადი** (universal) და **კერძოობითი** (particular) წინადადებები. ზოგად წინადადებაში პრედიკატით გამოხატული თვისება დასტურდება, ან უარიყოფა სუბიექტის ყველა მნიშვნელობისათვის, ხოლო კერძოობითში – ზოგიერთისათვის. ზოგიერთში აქ იგულისხმება სუბიექტის გაურკვეველი ნაწილი, რომელიც მონიშნულია სიტყვა ,,ზოგიერთის" მეშვეობით. მაგალითად, ,,ზოგიერთი ბავშვი შავთმიანია" და ,,ზოგიერთი მოსწავლე არ არის ფრიადოსანი".

თვისებრიობისა და რაოდენობის მიხედვით მარტივი კატეგორიული წინადადებები ოთხ სახედ გაიყოფა: ზოგად-დადებითი, ზოგად-უარყოფითი, კერძოობით-დადებითი და კერძოობით-უარყოფითი წინადადებები. შესაძლებელია

ერთი და იმავე ტერმინებით ავაგოთ ოთხივე ფორმის მარტივი კატეგორიული წინადადება:

- ყველა ვაშლი არის ტკბილი (ზოგად-დადებითი),
- არც ერთი ვაშლი არ არის ტკბილი (ზოგად-უარყოფითი),
- ზოგიერთი ვაშლი არის ტკბილი (კერძოობით-დადებითი)
- ზოგიერთი ვაშლი არ არის ტკბილი (კერძოობით-უარყოფითი).

წინადადების სუბიექტს და პრედიკატს აღვნიშნავენ შესაბამისად, S და P ასოებით, ხოლო მარტივი კატეგორიული წინადადებების ზემოთ ჩამოთვლილ ოთხ ფორმას - შესაბამისად a, e, i და o ასოებით (ლათინური სიტყვებიდან *affirmo* – ვამტკიცებ და *nego* – უარვყოფ აღებული ხმოვნების შესაბამისად). ამიტომ მიღებულია ამ წინადადებების შემდეგი სიმბოლური ჩაწერა:

ზოგად-დადებითი S a P (**ყველა S არის P**)

ზოგად-უარყოფითი S e P (**არცერთი S არ არის P**)

კერძოობით-დადებითი S i P (**ზოგიერთი S არის P**)

კერძოობით-უარყოფითი S o P (**ზოგიერთი S არ არის P**)

უნდა აღინიშნოს, რომ:

- ზოგად-დადებითი წინადადებიდან გამომდინარეობს კერძოობით-დადებითი წინადადება. **S a P ⇒ S i P**
- ზოგად-უარყოფითი წინადადებიდან გამომდინარეობს კერძოობით-უარყოფითი წინადადება. **S e P ⇒ S o P.**

შევავსოთ ცხრილი მითითებული წინადადებებით:

S a P --

S e P არც ერთი ზვიგენი არ არის ხორცის მოყვარული.

S i P ---

S o P ---

მითითება: მოცემულია **ზოგად-უარყოფითი** წინადადება **S e P (არცერთი S არ არის P)** - იგივეა, რაც - არც ერთი **S** ზვიგენი არ არის **P** ხორცის მოყვარული.

შესაბამისად **SaP** ზოგად-დადებითი წინადადება **(ყველა S არის P)** ჩაიწერება შემდეგი სახით **„ყველა ზვიგენი არის ხორცის მოყვარული“.**

SiP კერძოობით-დადებით წინადადება (**ზოგიერთი S არის P)** ჩაიწერება ჩაიწერება შემდეგი სახით „ ზოგიერთი ზვიგენი არის ხორცის მოყვარული“.

SoP კერძოობით-დადებით წინადადება (**ზოგიერთი S არ არის P)** ჩაიწერება ჩაიწერება შემდეგი სახით „ ზოგიერთი ზვიგენი არ არის ხორცის მოყვარული“.

§ 2 მარტივი კატეგორიული წინადადებების ჭეშმარიტობის პირობები.

მარტივი კატეგორიული წინადადება შეიძლება იყოს შემდეგი სახის:

a (SaP **ზოგად-დადებითი** - ყოველი s არის p, $S \subset P$),

e (SeP **ზოგად-უარყოფითი -** არცერთი S არ არის P, $S \cap P = \emptyset$),

i (SiP **კერძოობით-დადებითი -** ზოგიერთი S არის P, $S \cap P \neq \emptyset$),

o (SoP **კერძოობით-უარყოფითი -** ზოგიერთი S არ არის P, $S \cap P' \neq \emptyset$) .

სიმრავლეებს შორის **ძირითად დამოკიდებულებათა კანონის** თანახმად, ნებისმიერ ორ სიმრავლეს და შესაბამისად ორ ცნებას - მოცემული წინადადების **სუბიექტსა** და **პრეტიკატს** შორის არსებობს შემდეგი 5 დამოკიდებულებიდან მხოლოდ ერთი :

1. S და P ტოლმნიშვნელოვანი ცნებებია ;


2. S ექვემდებარება P-ს (S სახეა და P - გვარი);


3. P ექვემდებარება S-ს (P სახეა და S – გვარი);


4. S და P გადამკვეთი ცნებებია;


5. S და P გამიჯნული ცნებებია.


გადაქცევა არის უშუალო დასკვნა, რომელშიც წანამძღვრის სუბიექტისა და პრედიკატის დამოკიდებულების საფუძველზე ვადგენთ დამოკიდებულებას სუბიექტისა და პრედიკატის კონტრადიქტორულ ტერმინს P’-ს (არა-P-ს) შორის.

თუ გამოვიყენებთ უკუქცევისა და გადაქცევის დამტკიცებულ დამოკიდებულებას, მივიღებთ ტოლობის შემდეგ ცხრილს (ცხრილი1.1).

მსჯელობების გადაქცევისა და უკუქცევის წესები			
SeP=PeS	SaP=SeP′	SiP=SoP′	SaP=P′aS′
SiP=PiS	SeP=SaP′	SoP=SiP′	SoP=P′oS′
SaP⇒SiP	SeP⇒SoP	SaP⇒PiS	SeP⇒PoS

ცხრილი 1.1

§ 3. დამოკიდებულება მარტივ კატეგორიულ წინადადებებს შორის

მარტივ კატეგორიულ წინადადებებს შორის არსებობს რამდენიმე სახის დამოკიდებულება. ამ დამოკიდებულებების გამოსახვისთვის გამოიყენება „ლოგიკური კვადრატი" (ცხრილი 1.2). მასში კვადრატის წვეროები მარტივ კატეგორიულ წინადადებებს წარმოადგენენ, ხოლო გვერდები და დიაგონალები გამოსახავენ მათ შორის არსებულ დამოკიდებულებებს ([4], გვ. 298):



ცხრილი 1.2

SaP და მისი უარყოფა.

ზოგად-დადებითი წინადადება SaP - ყოველი S არის P - ჭეშმარიტია მაშინ და მხოლოდ მაშინ როდესაც S და P ტოლმნიშვნელოვანი ცნებებია ან S ექვემდებარება P–ს.

ახლა განვიხილოთ წინადადება: ტყუილია, რომ ყოველი S არის P. ეს ეკვივალენტურია იმისა, რომ ტყუილია, რომ S და P ტოლმნიშვნელოვანი ცნებებია, ან ტყუილია, რომ S ექვემდებარება P–ს. მაგრამ ამ შემთხვევაში არსებობს ისეთი საგანი, რომელიც შედის S–ის მოცულობაში, მაგრამ არ შედის P–ს მოცულობაში, რაც არის SoP. ასევე თუ SoP ტყუილია, მაშინ სამართლიანია SaP და ამიტომ SaP და SoP ერთმანეთის კონტრადიქტორული წინადადებებია.

SiP და მისი უარყოფა

ტყუილია, რომ ზოგიერთი S არის P არის SiP-ის უარყოფა და ეს არის SeP - არც ერთი S არ არის P, რომელიც ჭეშმარიტია მაშინ და მხოლოდ მაშინ, როდესაც S და P გამიჯნული ცნებებია.

შევადაროთ ერთმანეთს ერთი და იმავე ტერმინებისაგან შედგენილი ოთხი – SaP, SeP, SiP და SoP – მარტივი კატეგორიული წინადადებების ჭეშმარიტობის მნიშვნელობები ამ პარაგრაფში აგებული 1.3 ცხრილის მიხედვით.

1) ზოგად-დადებითი SaP და ზოგად-უარყოფითი SeP წინადადებები ძირითადი ცხრილის ხუთი შესაძლებლობიდან არც ერთ შემთხვევაში არ არის ერთდროულად ჭეშმარიტი; ერთ-ერთის ჭეშმარიტობიდან გამომდინარეობს მეორის მცდარობა, თუმცა შესაძლებელია ორივე მცდარი იყოს. სხვა სიტყვებით, SaP და SeP ერთმანეთის კონტრარული წინადადებებია, რაც ჩანს 1.2 ცხრილიდან.

2) ერთმანეთის სუბკონტრალურია კერძოობით-დადებითი SiP და კერძოობით-უარყოფითი SoP წინადადებები, ანუ ძირითადი 1.3 ცხრილის ხუთი შესაძლებლობიდან არც ერთ შემთხვევაში არ არის ორივე მათგანი ერთდროულად მცდარი. ერთ-ერთის მცდარობიდან გამომდინარეობს მეორის ჭეშმარიტობა, თუმცა ზოგჯერ ორივე ჭეშმარიტია. სხვა სიტყვებით, SiP და SoP ერთმანეთის სუბკონტრარული წინადადებებია, რაც ჩანს 1.2 ცხრილიდან.

3) ერთმანეთის კონტრადიქტორული წინადადებებია წინადადებები, რომლებიც ერთმანეთისგან განსხვავდებიან თვისებრიობითაც და რაოდენობრიობითაც, ე.ი. ზოგად-დადებითი SaP და კერძოობით-უარყოფითი SoP, აგრეთვე ზოგად-უარყოფითი SeP და კერძოობით-დადებითი SiP წინადადებები. ეს იმას ნიშნავს, რომ ორივე მათგანი ერთობლივად ვერც ჭეშმარიტი იქნება და ვერც მცდარი. როდესაც

ერთ-ერთი მათგანი ჭეშმარიტია, მაშინ მეორე აუცილებლად მცდარია. ისინი ერთმანეთის უარყოფას წარმოადგენენ, რაც ჩანს 1.3 ცხრილიდან.

4) მხოლოდ რაოდენობით განსხვავებული წინადადებები, ე.ი. ზოგად-დადებითი SaP და კერძოობით-დადებითი SiP, აგრეთვე ზოგად-უარყოფითი SeP და კერძოობით-უარყოფითი SoP, არიან დამაქვემდებარებელ-დაქვემდებარებულის მიმართებში, რაც კარგად ჩანს 1.3 ცხრილიდან.

მითითება. ([4]) მოცემული წინადადება • იგივეა, რაც ყველა S (რაც ცურავს) არის P (თევზი), ანუ SaP. მისი საწინააღმდეგოა, ანუ მისი უარყოფაა, კონტრადიქტორულია SoP. პასუხია: **ზოგიერთი რამ, რაც ცურავს, თევზი არ არის.**

დამოკიდებულებები სუბიექტსა და პრედიკატს შორის	ეილერ-ვენის დიაგრამებით წარმოდგენა	მარტივი კატეგორიული წინადადებების ჭეშმარიტების მნიშვნელობათა ცხრილი:			
		SaP	SeP	SiP	SoP
1.SდაPერთმნიშვნელოვანი. ცნებებია.		ჭ	მ	ჭ	მ
2. S ექვემდებარება P-ს.		ჭ	მ	ჭ	მ
3. P ექვემდებარება S -s.		მ	მ	ჭ	ჭ
4.SდაPგადამკვეთი ცნებებია.		მ	მ	ჭ	ჭ
5.SდაPგამიჯნული ცნებებია.		მ	ჭ	მ	ჭ

ცხრილი 1.3

§ 4. კატეგორიული სილოგიზმის ფიგურები და სახეობები

მარტივი კატეგორიული სილოგიზმი დედუქციური დასკვნის ერთ-ერთი სახეა, რომელიც ხშირად გვხდებოდა ეროვნული გამოცდების დავალებებში.

მარტივი კატეგორიული სილოგიზმი შედგება ორი წანამძღვრისა და დანასკვისაგან, რომლებიც მარტივი კატეგორიული წინადადებებია და ერთობლივად

შეიცავენ 3 ტერმინს. სამი ტერმინიდან ერთი შედის ორივე წინადადებაში და შესაბამისად მას **საშუალო ტერმინი** (Middle - საშუალო) ეწოდება. იგი აღინიშნება M ასოთი და იგი დასკვნაში აღარ შედის. დანარჩენი ორი ტერმინიდან ერთი - **დიდი ტერმინი** და აღინიშნება **P** ასოთი და შედის ერთ წანამძღვარში, მეორეს **მცირე ტერმინი** ეწოდება, აღინიშნება **S** ასოთი და შედის მეორე წანამძღვარში. სწორედ ეს ტერმინები უკავშირდებიან ერთმანეთს დანასკვში საშუალო ტერმინის საშუალებით. მათ **კიდური ტერმინები** ეწოდებათ.

მარტივი კატეგორიული სილოგიზმის დასკვნის (დანასკვის) არსი იმაში მდგომარეობს, რომ კიდურა ტერმინების საშუალო ტერმინთან დამოკიდებულების საფუძველზე დავადგინოთ კიდურა ტერმინების ურთიერთდამოკიდებულება. მცირე ტერმინი S დასკვნის სუბიექტია, ხოლო **P** დასკვნის პრედიკატია. მიღებულია, რომ კატეგორიული სილოგიზმის ორი წანამძღვრის ჩაწერისას პირველ სტრიქონში დაიწეროს დიდი ტერმინის - P-ს შემცველი წანამძღვარი, რომელსაც შესაბამისად **დიდი წანამძღვარი** ეწოდება, ხოლო მეორე სტრიქონში ჩაიწერება პატარა ტერმინის - S-ის შემცველი - **მცირე წანამძღვარი.** დანასკვის სისწორისათვის დაცული უნდა იყოს წანამძღვრების მიმდევრობა, რადგან დანასკვს ჰქონდეს სახე **S-P**.

კატეგორიული სილოგიზმის სახეებს, რომლებიც ერთმანეთისგან განსხვავდებიან საშუალო ტერმინის ადგილით წანამძღვრებში, **კატეგორიული სილოგიზმის ფიგურები** ეწოდება. არსებობს კატეგორიული სილოგიზმის 4 ფიგურა (ცხრილი 1.4) :

I ფიგურა	II ფიგურა	III ფიგურა	IV ფიგურა
$(M\text{-}P)\wedge(S\text{-}M)=S\text{-}P$	$(P\text{-}M)\wedge(S\text{-}M)= S\text{-}P$	$(M\text{-}P)\wedge(M\text{-}S)=S\text{-}P$	$(P\text{-}M)\wedge(M\text{-}S)=S\text{-}P$

ცხრილი 1.4

I ფიგურაში საშუალო ტერმინი - M - დიდი წანამძღვრის სუბიექტი და მცირე წანამძღვრის პრედიკატია,

II ფიგურაში საშუალო ტერმინი - M - ორივე წანამძღვარში პრედიკატის ადგილი უჭირავს.

III ფიგურაში საშუალო ტერმინი - M - ორივე წანამძღვარში სუბიექტის ადგილი უჭირავს.

ხოლო IV ფიგურაში საშუალო ტერმინი - M - დიდი წანამძღვრის პრედიკატია, და მცირე წანამძღვრის - სუბიექტი.

კატეგორიული სილოგიზმის სახეებს, რომლებიც ერთმანეთისგან განსხვავდებიან წანამძღვრების ან დანასკვის ფორმით - კატეგორიული სილოგიზმის **სახეობები** (მოდუსები) ეწოდებათ. თითოეული წანამძღვარი და დანასკვი შეიძლება იყოს a, e, I ან o სახის. თითოეული ფიგურისთვის არსებობს 4X4X4=4^3=64 სხვადასხვა შესაძლო სახეობა.

კატეგორიული სილოგიზმის თეორიის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა გაირკვეს, რომელი ფიგურის რომელი სახეობა წარმოადგენს სწორ დასკვნას (ჭეშმარიტია) და რომელი არ არის ჭეშმარიტი (მცდარია).

თავი II. ჭეშმარიტი და მცდარი დასკვნების დასაბუთებები და ანალიტიკური მსჯელობებით

§ 5. III ფიგურის ჭეშმარიტი და მცდარი დასკვნები

სილოგიზმის მესამე ფიგურა - მისი ტერმინების იმგვარი განლაგებაა, სადაც პირველი და მეორე წანამძღვარი საშუალო ტერმინით იწყება, ანუ საშუალო ტერმინი ორივე წანამძღვარში პირველ ადგილზე დგას. მაგალითად:

ყველა M მოსწავლემ --- იცის P კითხვა.

ყველა M მოსწავლე --- S ბავშვია .

ზოგიერთმა S ბავშვმა - იცის P კითხვა.

მესამე სილოგიზმის ფიგურაში ტერმინთა ჭეშმარიტი და მცდარი დასკვნები ცხრილში ასე გამოისახება (ცხრილი 1.5) :

III ფიგურის (M-P)∧(M-S)⇒S-P ჭეშმარიტი და მცდარი დასკვნები											
1	aaa	მცდარია	17	aea	მცდარია	33	aia	მცდარია	49	aoa	მცდარია
2	aae	მცდარია	18	aee	მცდარია	34	aie	მცდარია	50	aoe	მცდარია
3	aai	Darapti	19	aei	მცდარია	35	aii	Datisi	51	aoi	მცდარია
4	aao	მცდარია	20	aeo	მცდარია	36	aio	მცდარია	52	aoo	მცდარია
5	eaa	მცდარია	21	eea	მცდარია	37	eia	მცდარია	53	eoa	მცდარია
6	eae	მცდარია	22	eee	მცდარია	38	eie	მცდარია	54	eoe	მცდარია
7	eai	მცდარია	23	eei	მცდარია	39	eii	მცდარია	55	eoi	მცდარია
8	eao	Felapton	24	eeo	მცდარია	40	eio	Festino	56	eoo	მცდარია
9	iaa	მცდარია	25	iea	მცდარია	41	iia	მცდარია	57	ioa	მცდარია
10	iae	მცდარია	26	iee	მცდარია	42	iie	მცდარია	58	ioe	მცდარია
11	iai	Disamis	27	iei	მცდარია	43	iii	მცდარია	59	ioi	მცდარია
12	iao	მცდარია	28	ieo	მცდარია	44	iio	მცდარია	60	ioo	მცდარია
13	oaa	მცდარია	29	oea	მცდარია	45	oia	მცდარია	61	ooa	მცდარია
14	oae	მცდარია	30	oee	მცდარია	46	oie	მცდარია	62	ooe	მცდარია
15	oai	მცდარია	31	oei	მცდარია	47	oii	მცდარია	63	ooi	მცდარია
16	oao	Bocardo	32	oeo	მცდარია	48	oio	მცდარია	64	ooo	მცდარია

ცხრილი 1.5

1)განვიხილოთ მესამე ფიგურის პირველი მოდუსი (MaP)∧(MaS)⇒SaP – aaa: ყველა M არის P და ყველა M არის S, მაშინ გამომდინარეობს **დანასკვი:** ყველა S არის P ანუ (MaP)∧(MaS)⇒SaP. ვაჩვენოთ, რომ ეს მოდუსი ***მცდარია .***

დამტკიცება: 1.6 ცხრილის სქემებიდან ნათლად ჩანს, რომ ორი განსხვავებული შემთხვევა მივიღეთ. ამიტომ ვასკვნით, რომ მოცემული წანამძღვრებიდან **გამომდინარეობა** $(MaP)\wedge(MaS)\Rightarrow SaP$ **არ არის ჭეშმარიტი. შესაბამისად III ფიგურის პირველი მოდუსი მცდარია.** მეორე შემთხვევა ადასტურებს, რომ არის შემთხვევები როცა ზოგიერთი S არ არის P, რაც თავისთავად გამორიცხავს დანასკვს **SaP** - ყველა S არის P-ს.

$(MaP)\wedge(MaS)\Rightarrow S\text{-}P$



ცხრილი 1.6

2) **განვიხილოთ მესამე ფიგურის მეორე მოდუსი** $(MaP)\wedge(MaS)\Rightarrow SeP$ – aae: ყველა M არის P და ყველა M არის S, მაშინ გამომდინარეობს **დანასკვი:** არცერთი S არ არის P ანუ $(MaP)\wedge(MaS)\Rightarrow SeP$. ვაჩვენოთ, რომ ეს მოდუსი ***მცდარია*** ,

დამტკიცება: 1.6 ცხრილის სქემებიდან ნათლად ჩანს, რომ ორი განსხვავებული შემთხვევა მივიღეთ, ამიტომ ვასკვნით, რომ მოცემული **გამომდინარეობა** $(MaP)\wedge(MaS)\Rightarrow SeP$ **არ არის ჭეშმარიტი. შესაბამისად III ფიგურის მეორე მოდუსი მცდარია.** მეორე შემთხვევა ადასტურებს, რომ არის შემთხვევები როცა ზოგიერთი S არის P, რაც თავისთავად გამორიცხავს ჩვენს დანასკვს **SeP** -არცერთი S არ არის P-ს.

3) **განვიხილოთ მესამე ფიგურის მესამე მოდუსი Darapti** $(MaP)\wedge(MaS)\Rightarrow SiP$ – aai: ყველა M არის P და ყველა M არის S, ანუ გამომდინარეობს **დანასკვი**: ზოგიერთი S არის P. ეს მოდუსი ***ჭეშმარიტია,***,

დამტკიცება: 1.7 ცხრილის სქემიდან ნათლად ჩანს, რომ ზოგიერთი S არის P.

$(MaP)\wedge(MaS)\Rightarrow SiP$:

Darapti



ცხრილი 1.7

4) განვიხილოთ მესამე ფიგურის მეოთხე მოდუსი (MaP)∧(MaS)⇒SoP – aao: ყველა M არის P და ყველა M არის S, მაშინ გამომდინარეობს **დანასკვი:** ზოგიერთი S არ არის P ანუ (MaP)∧(MaS)⇒SoP. ვაჩვენოთ, რომ ეს მოდუსი ***მცდარია.***

დამტკიცება: 1.6 ცხრილის სქემებიდან ნათლად ჩანს, რომ ორი განსხვავებული შემთხვევა მივიღეთ, ამიტომ ვასკვნით, რომ მოცემული **გამომდინარეობა (MaP)∧(MaS) ⇒SoP არ არის ჭეშმარიტი. შესაბამისად III ფიგურის მეოთხე მოდუსი მცდარია.** პირველი შემთხვევა ადასტურებს, რომ არის შემთხვევები როცა ყველა S არის P, რაც თავისთავად გამორიცხავს ჩვენს დანასკვს **SoP** ზოგიერთი S არ არის P-ს.



ცხრილი 1.8

5) განვიხილოთ მესამე ფიგურის მეხუთე მოდუსი (MeP)∧(MaS)⇒SaP – eaa: არცერთი M არ არის P და ყველა M არის S, მაშინ გამომდინარეობს **დანასკვი:** ყველა S არის P, ანუ (MeP)∧(MaS)⇒SaP. ვაჩვენოთ, რომ ეს მოდუსი ***მცდარია***,

დამტკიცება: 1.8 ცხრილის სქემებიდან ნათლად ჩანს, რომ ორი განსხვავებული შემთხვევა მივიღეთ, შესაბამისად ვასკვნით, რომ მოცემული **გამომდინარეობა (MeP)∧(MaS) ⇒SaP არ არის ჭეშმარიტი. შესაბამისად III ფიგურის მეხუთე მოდუსი მცდარია.** პირველი შემთხვევა ადასტურებს, რომ არის შემთხვევები როცა ზოგიერთი S არ არის P, რაც თავისთავად გამორიცხავს ჩვენს დანასკვს **SaP** – ყველა S არის P-ს.

6) განვიხილოთ მესამე ფიგურის მეექვსე მოდუსი (MeP)∧(MaS)⇒SeP – eae: არცერთი M არ არის P და ყველა M არის S, მაშინ გამომდინარეობს **დანასკვი:** არცერთი S არ არის P ანუ (MeP)∧(MaS)⇒SeP. ვაჩვენოთ, რომ ეს მოდუსი ***მცდარია.***

დამტკიცება: 1.8 ცხრილის სქემებიდან ნათლად ჩანს, რომ ორი განსხვავებული შემთხვევა მივიღეთ, ამიტომ ვასკვნით, რომ მოცემული **გამომდინარეობა $(MeP)\wedge(MaS) \Rightarrow SeP$ არ არის ჭეშმარიტი. შესაბამისად III ფიგურის მეექვსე მოდუსი მცდარია.** მეორე შემთხვევა ადასტურებს, რომ არის შემთხვევები როცა ზოგიერთი S არის P, რაც თავისთავად გამორიცხავს ჩვენს დანასკვს **SeP** – არცერთი S არ არის P-ს.

7) **განვიხილოთ მესამე ფიგურის მეშვიდე მოდუსი $(MeP)\wedge(MaS)\Rightarrow SiP$** – eai: არცერთი M არ არის P და ყველა M არის S, მაშინ გამომდინარეობს **დანასკვი:** ზოგიერთი S არის P ანუ $(MeP)\wedge(MaS)\Rightarrow SiP$. ვაჩვენოთ, რომ ეს მოდუსი ***<u>მცდარია</u>*** ,

დამტკიცება: 1.8 ცხრილის სქემებიდან ნათლად ჩანს, რომ ორი განსხვავებული შემთხვევა მივიღეთ, ამიტომ ვასკვნით, რომ მოცემული **გამომდინარეობა $(MeP)\wedge(MaS) \Rightarrow SiP$ არ არის ჭეშმარიტი. შესაბამისად III ფიგურის მეშვიდე მოდუსი მცდარია.** პირველი შემთხვევა ადასტურებს, რომ არის შემთხვევები როცა არცერთი S არ არის P, რაც თავისთავად გამორიცხავს ჩვენს დანასკვს **SiP** ზოგიერთი S არის P-ს.

8) **განვიხილოთ მესამე ფიგურის მერვე მოდუსი** <u>Felapton</u> $(M\underline{e}P)\wedge(MaS)\Rightarrow S\underline{o}P$ – <u>e</u>a<u>o</u>: არცერთი M არ არის P და ყველა M არის S, ანუ გამომდინარეობს **დანასკვი**: ზოგიერთი S არ არის P. ვაჩვენოთ, რომ ეს მოდუსი ***<u>ჭეშმარიტია</u>***,

დამტკიცება: 1.9 ცხრილის სქემიდან ნათლად ჩანს, რომ ზოგიერთი S არ არის P.



ცხრილი 1.9

9) **განვიხილოთ მესამე ფიგურის მეცხრე მოდუსი $(MiP)\wedge(MaS)\Rightarrow SaP$** – iaa: ზოგიერთი M არის P და ყველა M არის S, მაშინ გამომდინარეობს **დანასკვი:** ყველა S არის P ანუ $(MiP)\wedge(MaS)\Rightarrow SaP$. ვაჩვენოთ, რომ ეს მოდუსი ***<u>მცდარია</u>*** ,

დამტკიცება: 1.10 ცხრილის სქემებიდან ნათლად ჩანს, რომ ორი განსხვავებული შემთხვევა მივიღეთ, ამიტომ ვასკვნით, რომ მოცემული წანამძღვრების**(MiP)∧(MaS)⇒ SaP არ არის ჭეშმარიტი. შესაბამისად III ფიგურის მეცხრე მოდუსი მცდარია.** პირველი შემთხვევა ადასტურებს, რომ არის შემთხვევები როცა ზოგიერთი S არის P, რაც თავისთავად გამორიცხავს ჩვენს დანასკვს **SaP** ყველა S არის P-ს.

10) **განვიხილოთ მესამე ფიგურის მეათე მოდუსი (MiP)∧(MaS)⇒SeP** – iae: ზოგიერთი M არის P და ყველა M არ არის S, მაშინ გამომდინარეობს **დანასკვი:** არცერთი S არ არის P ანუ (MiP)∧(MaS)⇒SeP. ვაჩვენოთ, რომ ეს მოდუსი ***მცდარია*** ,

დამტკიცება: 1.10 ცხრილის სქემებიდან ნათლად ჩანს, რომ ორი განსხვავებული შემთხვევა მივიღეთ, ამიტომ ვასკვნით, რომ მოცემული **გამომდინარეობა (MiP)∧(MaS)⇒SeP არ არის ჭეშმარიტი. შესაბამისად III ფიგურის მეათე მოდუსი მცდარია.** პირველი შემთხვევა ადასტურებს, რომ არის შემთხვევები როცა ზოგიერთი S არის P, რაც თავისთავად გამორიცხავს ჩვენს დანასკვს **SeP-ს -** არცერთი S არ არის P-ს.

(MiP)∧(MaS)⇒S-P:



ცხრილი 1.10

11) **განვიხილოთ მესამე ფიგურის მეთერთმეტე მოდუსი Disamis (MiP)∧(MaS)⇒SiP** – **iai მოდუსზე:** ზოგიერთი M არის P და ყველა M არის S, მაშინ გამომდინარეობს **დანასკვი**: ზოგიერთი S არის P. ვაჩვენოთ, რომ ეს მოდუსი ***ჭეშმარიტია***, **დამტკიცება:** 1.11 ცხრილის სქემიდან ნათლად ჩანს.

(MiP)∧(MaS)⇒SiP

Disamis



ცხრილი 1.11

12) **განვიხილოთ მესამე ფიგურის მეთორმეტე მოდუსი (MiP)∧(MaS)⇒SoP –** iao: ზოგიერთი M არის P და ყველა M არის S, მაშინ გამომდინარეობს **დანასკვი:** ზოგიერთი S არ არის P ანუ (MiP)∧(MaS)⇒SoP. ვაჩვენოთ, რომ ეს მოდუსი ***მცდარია*** ,

დამტკიცება: 1.10 ცხრილის სქემებიდან ნათლად ჩანს, რომ ორი განსხვავებული შემთხვევა მივიღეთ, ამიტომ ვასკვნით, რომ მოცემული **გამომდინარეობა (MiP)∧(MaS) ⇒SoP არ არის ჭეშმარიტი. შესაბამისად III ფიგურის მეთორმეტე მოდუსი მცდარია.** მეორე შემთხვევა ადასტურებს, რომ არის შემთხვევები როცა ყველა S არის P, რაც თავისთავად გამორიცხავს ჩვენს დანასკვს **SoP** ზოგიერთი S არ არის P-ს.

13) **განვიხილოთ მესამე ფიგურის მეცამეტე მოდუსი (MoP)∧(MaS)⇒SaP –** oaa: ზოგიერთი M არ არის P და ყველა M არის S, მაშინ გამომდინარეობს **დანასკვი:** ყველა S არის P ანუ (MoP)∧(MaS)⇒SaP. ვაჩვენოთ, რომ ეს მოდუსი ***მცდარია*** ,

დამტკიცება: 1.12 ცხრილის სქემებიდან ნათლად ჩანს, რომ ორი განსხვავებული შემთხვევა მივიღეთ, ამიტომ ვასკვნით, რომ მოცემული **გამომდინარეობა (MoP)∧(MaS)⇒SaP არ არის ჭეშმარიტი. შესაბამისად III ფიგურის მეცამეტე მოდუსი მცდარია.** პირველი შემთხვევა ადასტურებს, რომ არის შემთხვევები როცა ზოგიერთი S არ არის P, რაც თავისთავად გამორიცხავს ჩვენს დანასკვს **SaP** ყველა S არის P-ს.

(MoP)∧(MaS)⇒S-P :



ცხრილი 3.12

14) **განვიხილოთ მესამე ფიგურის მეთოთხმეტე მოდუსი (MoP)∧(MaS)⇒SeP –** oae: ზოგიერთი M არ არის P და ყველა M არის S, მაშინ გამომდინარეობს **დანასკვი:** არცერთი S არ არის P ანუ (MoP)∧(MaS)⇒SeP. ვაჩვენოთ, რომ ეს მოდუსი ***მცდარია*** ,

დამტკიცება: 1.12 ცხრილის სქემებიდან ნათლად ჩანს, რომ ორი განსხვავებული შემთხვევა მივიღეთ, ამიტომ ვასკვნით, რომ მოცემული **გამომდინარეობა (MoP)∧(MaS)⇒SeP არ არის ჭეშმარიტი. შესაბამისად III ფიგურის**

მეთოთხმეტე მოდუსი მცდარია. პირველი შემთხვევა ადასტურებს, რომ არის შემთხვევები როცა ზოგიერთი S არის P, რაც თავისთავად გამორიცხავს ჩვენს დანასკვს **SeP** არცერთი S არ არის P-ს.

15) **განვიხილოთ მესამე ფიგურის მეთხუთმეტე მოდუსი** (MoP)∧(MaS)⇒SiP – oai: ზოგიერთი M არის P და ყველა M არის S, მაშინ გამომდინარეობს **დანასკვი:** ზოგიერთი S არ არის P ანუ (MoP)∧(MaS)⇒SiP. ვაჩვენოთ, რომ ეს მოდუსი ***მცდარია .***

დამტკიცება: 1.12 ცხრილის სქემებიდან ნათლად ჩანს, რომ ორი განსხვავებული შემთხვევა მივიღეთ, ამიტომ ვასკვნით, რომ მოცემული **გამომდინარეობა (MoP)∧(MaS)⇒SiP არ არის ჭეშმარიტი. შესაბამისად III ფიგურის მეთოთხმეტე მოდუსი მცდარია.** პირველი შემთხვევა ადასტურებს, რომ არის შემთხვევები როცა არცერთი S არ არის P, რაც თავისთავად გამორიცხავს ჩვენს დანასკვს **SiP** ზოგიერთი S არის P-ს.

16) **განვიხილოთ მესამე ფიგურის მეთექვსმეტე მოდუსი Bocardo (MoP)∧(MaS)⇒SoP** – **oao:** ზოგიერთი M არის P და ყველა M არის S, მაშინ გამომდინარეობს **დანასკვი**: ზოგიერთი S არის P. ვაჩვენოთ, რომ ეს მოდუსი ***ჭეშმარიტია.***

დამტკიცება: 1.14 ცხრილის სქემიდან ნათლად ჩანს. რომ ზოგიერთი S არის P

(MoP)∧(MaS)⇒SoP



Bocardo

ცხრილი 1.14

17) **განვიხილოთ მესამე ფიგურის მეჩვიდმეტე მოდუსი** (MaP)∧(MeS)⇒SaP – aea: ყველა M არის P და არცერთი M არ არის S, მაშინ გამომდინარეობს **დანასკვი:** ყველა S არ არის P ანუ (MaP)∧(MeS)⇒SaP. ვაჩვენოთ, რომ ეს მოდუსი ***მცდარია .***

დამტკიცება: 1.15 ცხრილის სქემებიდან ნათლად ჩანს, რომ ორი განსხვავებული შემთხვევა მივიღეთ, ამიტომ ვასკვნით, რომ მოცემული **გამომდინარეობა (MaP)∧(MeS)⇒SaP არ არის ჭეშმარიტი. შესაბამისად III ფიგურის მეჩვიდმეტე მოდუსი მცდარია.** პირველი შემთხვევა ადასტურებს, რომ არის შემთხვევები როცა არცერთი S არ არის P, რაც თავისთავად გამორიცხავს ჩვენს დანასკვს **SaP** ყველა S არის P-ს.



ცხრილი 1.15

18) **განვიხილოთ მესამე ფიგურის მეთვრამმეტე მოდუსი (MaP)∧(MeS)⇒SeP** – aee: ყველა M არის P და არცერთი M არ არის S, მაშინ გამომდინარეობს **დანასკვი:** ყველა S არ არის P ანუ (MaP)∧(MeS)⇒SeP. ვაჩვენოთ, რომ ეს მოდუსი ***მცდარია .***

დამტკიცება: 1.15 ცხრილის სქემებიდან ნათლად ჩანს, რომ ორი განსხვავებული შემთხვევა მივიღეთ, ამიტომ ვასკვნით, რომ მოცემული **გამომდინარეობა (MaP)∧(MeS)⇒SeP არ არის ჭეშმარიტი. შესაბამისად III ფიგურის მეჩვიდმეტე მოდუსი მცდარია.** მეორე შემთხვევა ადასტურებს, რომ არის შემთხვევები როცა ზოგიერთი S არის P, რაც თავისთავად გამორიცხავს ჩვენს დანასკვს **SeP** არცერთი S არ არის P-ს.

19) **განვიხილოთ მესამე ფიგურის მეცხრამმეტე მოდუსი (MaP)∧(MeS)⇒SiP** – aei: ყველა M არის P და არცერთი M არ არის S, მაშინ გამომდინარეობს **დანასკვი:** ზოგიერთი S არის P ანუ (MaP)∧(MeS)⇒SiP. ვაჩვენოთ, რომ ეს მოდუსი ***მცდარია*** , რადგანაც 1.15 ცხრილის სქემებიდან ნათლად ჩანს, რომ ორი განსხვავებული შემთხვევა მივიღეთ, ამიტომ ვასკვნით, რომ მოცემული **გამომდინარეობა (MaP)∧(MeS)⇒SiP არ არის ჭეშმარიტი. შესაბამისად III ფიგურის მეცხრამმეტე მოდუსი მცდარია.** პირველი შემთხვევა ადასტურებს, რომ არის შემთხვევები როცა არცერთი S არ არის P, რაც თავისთავად გამორიცხავს ჩვენს დანასკვს **SiP** ზოგიერთი S არის P-ს.

20) **განვიხილოთ მესამე ფიგურის მეოცე მოდუსი (MaP)∧(MeS)⇒SoP** – aeo: ყველა M არის P და არცერთი M არ არის S, მაშინ გამომდინარეობს **დანასკვი:** ზოგიერთი S არ არის P ანუ (MaP)∧(MeS)⇒SoP. ვაჩვენოთ, რომ ეს მოდუსი ***მცდარია .***

დამტკიცება: 1.15 ცხრილის სქემებიდან ნათლად ჩანს, რომ ორი განსხვავებული შემთხვევა მივიღეთ, ამიტომ ვასკვნით, რომ მოცემული **გამომდინარეობა (MaP)∧(MeS)⇒SoP არ არის ჭეშმარიტი. შესაბამისად III ფიგურის მეოცე მოდუსი მცდარია.** პირველი შემთხვევა ადასტურებს, რომ არის შემთხვევები როცა ყველა S არის P, რაც თავისთავად გამორიცხავს ჩვენს დანასკვს **SoP** ზოგიერთი S არ არის P-ს.

(MeP)∧(MeS)⇒S-P



ცხრილი 1.16

21) **განვიხილოთ მესამე ფიგურის ოცდამეერთე მოდუსი (MeP)∧(MeS)⇒SaP** – eea: არცერთი M არ არის P და არცერთი M არ არის S, მაშინ გამომდინარეობს **დანასკვი:** ყველა S არის P ანუ (MeP)∧(MeS)⇒SaP. ვაჩვენოთ, რომ ეს მოდუსი ***მცდარია.***

დამტკიცება: 1.16 ცხრილის სქემებიდან ნათლად ჩანს, რომ სამი განსხვავებული შემთხვევა მივიღეთ, ამიტომ ვასკვნით, რომ მოცემული **გამომდინარეობა (MeP)∧(MeS)⇒SaP არ არის ჭეშმარიტი. შესაბამისად III ფიგურის ოცდამეერთე მოდუსი მცდარია.** მესამე შემთხვევა ადასტურებს, რომ არის შემთხვევები როცა არცერთი S არ არის P, რაც თავისთავად გამორიცხავს ჩვენს დანასკვს **SaP** ყველა S არის P-ს.

22) **განვიხილოთ მესამე ფიგურის ოცდამეორე მოდუსი (MeP)∧(MeS)⇒SeP** – eee: არცერთი M არ არის P და არცერთი M არ არის S, მაშინ გამომდინარეობს **დანასკვი:** არცერთი S არ არის P ანუ (MeP)∧(MeS)⇒SeP. ვაჩვენოთ, რომ ეს მოდუსი ***მცდარია ,***

დამტკიცება: 1.16 ცხრილის სქემებიდან ნათლად ჩანს, რომ სამი განსხვავებული შემთხვევა მივიღეთ, ამიტომ ვასკვნით, რომ მოცემული **გამომდინარეობა** (MeP)∧(MeS)⇒SeP **არ არის ჭეშმარიტი. შესაბამისად III ფიგურის ოცდამეორე მოდუსი მცდარია.** მეორე შემთხვევა ადასტურებს, რომ არის შემთხვევები როცა ყველა S არის P, რაც თავისთავად გამორიცხავს ჩვენს დანასკვს **SeP** არცერთი S არ არის P-ს.

23) **განვიხილოთ მესამე ფიგურის ოცდამესამე მოდუსი** (MeP)∧(MeS)⇒**SiP** – eei: არცერთი M არ არის P და არცერთი M არ არის S, მაშინ გამომდინარეობს **დანასკვი:** ზოგიერთი S არის P ანუ (MeP)∧(MeS)⇒SiP. ვაჩვენოთ, რომ ეს მოდუსი *მცდარია*,

დამტკიცება: 1.16 ცხრილის სქემებიდან ნათლად ჩანს, რომ სამი განსხვავებული შემთხვევა მივიღეთ, ამიტომ ვასკვნით, რომ მოცემული **გამომდინარეობა** (MeP)∧(MeS)⇒**SiP არ არის ჭეშმარიტი. შესაბამისად III ფიგურის ოცდამესამე მოდუსი მცდარია.** მესამე შემთხვევა ადასტურებს, რომ არის შემთხვევები როცა არცერთი S არ არის P, რაც თავისთავად გამორიცხავს ჩვენს დანასკვს **SeP** ზოგიერთი S არის P-ს.

24) **განვიხილოთ მესამე ფიგურის ოცდამეოთხე მოდუსი** (MeP)∧(MeS)⇒**SoP** – eeo: არცერთი M არ არის P და არცერთი M არ არის S, მაშინ გამომდინარეობს **დანასკვი:** ზოგიერთი S არ არის P ანუ (MeP)∧(MeS)⇒SoP. ვაჩვენოთ, რომ ეს მოდუსი *მცდარია*.

დამტკიცება: 1.16 ცხრილის სქემებიდან ნათლად ჩანს, რომ სამი განსხვავებული შემთხვევა მივიღეთ, ამიტომ ვასკვნით, რომ მოცემული **გამომდინარეობა** (MeP)∧(MeS)⇒**SoP არ არის ჭეშმარიტი. შესაბამისად III ფიგურის ოცდამეოთხე მოდუსი მცდარია.** მეორე შემთხვევა ადასტურებს, რომ არის შემთხვევები როცა ყველა S არის P, რაც თავისთავად გამორიცხავს ჩვენს დანასკვს **SoP** ზოგიერთი S არ არის P-ს.

(MiP)∧(MeS)⇒S-P :



ცხრილი 1.17

25) **განვიხილოთ მესამე ფიგურის ოცდამეხუთე მოდუსი (MiP)∧(MeS)⇒SaP** – iea: ზოგიერთი M არის P და არცერთი M არ არის S, მაშინ გამომდინარეობს **დანასკვი:** ყველა S არის P ანუ (MiP)∧(MeS)⇒SaP. ვაჩვენოთ, რომ ეს მოდუსი *მცდარია .*

დამტკიცება: 1.17 ცხრილის სქემებიდან ნათლად ჩანს, რომ სამი განსხვავებული შემთხვევა მივიღეთ, ამიტომ ვასკვნით, რომ მოცემული **გამომდინარეობა** (MiP)∧**(MeS)⇒SaP არ არის ჭეშმარიტი. შესაბამისად III ფიგურის ოცდამეხუთე მოდუსი მცდარია.** მესამე შემთხვევა ადასტურებს, რომ არის შემთხვევები როცა არცერთი S არის P, რაც თავისთავად გამორიცხავს ჩვენს დანასკვს **SaP** ყველა S არის P-ს.

26) **განვიხილოთ მესამე ფიგურის ოცდამეექვსე მოდუსი (MiP)∧(MeS)⇒SeP** – iee: ზოგიერთი M არის P და არცერთი M არ არის S, მაშინ გამომდინარეობს **დანასკვი:** არცერთი S არ არის P ანუ (MiP)∧(MeS)⇒SeP. ვაჩვენოთ, რომ ეს მოდუსი *მცდარია* ,

დამტკიცება: 1.17 ცხრილის სქემებიდან ნათლად ჩანს, რომ ორი განსხვავებული შემთხვევა მივიღეთ, ამიტომ ვასკვნით, რომ მოცემული **გამომდინარეობა** (MiP)∧**(MeS)⇒SeP არ არის ჭეშმარიტი. შესაბამისად III ფიგურის ოცდამეექვსე მოდუსი მცდარია.** პირველი შემთხვევა ადასტურებს, რომ არის შემთხვევები როცა ზოგიერთი S არის P, რაც თავისთავად გამორიცხავს ჩვენს დანასკვს **SeP** არცერთი S არ არის P-ს.

27) **განვიხილოთ მესამე ფიგურის ოცდამეშვიდე მოდუსი (MiP)∧(MeS)⇒SiP** – iei: ზოგიერთი M არის P და არცერთი M არ არის S, მაშინ გამომდინარეობს **დანასკვი:** ზოგიერთი S არის P ანუ (MiP)∧(MeS)⇒SiP. ვაჩვენოთ, რომ ეს მოდუსი *მცდარია* ,

დამტკიცება: 1.17 ცხრილის სქემებიდან ნათლად ჩანს, რომ სამი განსხვავებული შემთხვევა მივიღეთ, ამიტომ ვასკვნით, რომ მოცემული **გამომდინარეობა** (MiP)∧**(MeS)⇒SiP არ არის ჭეშმარიტი. შესაბამისად III ფიგურის ოცდამეშვიდე მოდუსი მცდარია.** მესამე შემთხვევა ადასტურებს, რომ არის შემთხვევები როცა არცერთი S არის P, რაც თავისთავად გამორიცხავს ჩვენს დანასკვს **SiP** ზოგიერთი S არის P-ს.

28) **განვიხილოთ მესამე ფიგურის ოცდამერვე მოდუსი (MiP)∧(MeS)⇒SoP –** ieo: ზოგიერთი M არის P და არცერთი M არ არის S, მაშინ გამომდინარეობს **დანასკვი:** ზოგიერთი S არ არის P ანუ (MiP)∧(MeS)⇒SoP. ვაჩვენოთ, რომ ეს მოდუსი ***მცდარია*** ,

დამტკიცება: 1.17 ცხრილის სქემებიდან ნათლად ჩანს, რომ სამი განსხვავებული შემთხვევა მივიღეთ, ამიტომ ვასკვნით, რომ მოცემული **გამომდინარეობა** (**MiP)∧(MeS)⇒SoP არ არის ჭეშმარიტი. შესაბამისად III ფიგურის ოცდამერვე მოდუსი მცდარია.** მეორე შემთხვევა ადასტურებს, რომ არის შემთხვევები როცა ყველა S არის P, რაც თავისთავად გამორიცხავს ჩვენს დანასკვს **SoP** ზოგიერთი S არ არის P-ს.



ცხრილი 1.18

29) **განვიხილოთ მესამე ფიგურის ოცდამეცხრე მოდუსი (MoP)∧(MeS)⇒SaP –** oea: ზოგიერთი M არ არის P და არცერთი M არ არის S, მაშინ გამომდინარეობს **დანასკვი:** ყველა S არის P ანუ (MoP)∧(MeS)⇒SaP. ვაჩვენოთ, რომ ეს მოდუსი ***მცდარია.***

დამტკიცება: 1.18 ცხრილის სქემებიდან ნათლად ჩანს, რომ სამი განსხვავებული შემთხვევა მივიღეთ, ამიტომ ვასკვნით, რომ მოცემული **გამომდინარეობა** (**MoP)∧(MeS)⇒SaP არ არის ჭეშმარიტი. შესაბამისად III ფიგურის ოცდამეცხრე მოდუსი მცდარია.** მესამე შემთხვევა ადასტურებს, რომ არის შემთხვევები როცა არცერთი S არ არის P, რაც თავისთავად გამორიცხავს ჩვენს დანასკვს **SaP** ყველა S არის P-ს.

30) **განვიხილოთ მესამე ფიგურის ოცდამეათე მოდუსი (MoP)∧(MeS)⇒SeP –** oee: ზოგიერთი M არის P და არცერთი M არ არის S, მაშინ გამომდინარეობს **დანასკვი:** არცერთი S არ არის P ანუ (MoP)∧(MeS)⇒SeP. ეს მოდუსი ***მცდარია .***

დამტკიცება: 1.18 ცხრილის სქემებიდან ნათლად ჩანს, რომ სამი განსხვავებული შემთხვევა მივიღეთ, ამიტომ ვასკვნით, რომ მოცემული **გამომდინარეობა** (MoP)∧(MeS)⇒**SeP არ არის ჭეშმარიტი. შესაბამისად III ფიგურის ოცდამეათე მოდუსი მცდარია.** მეორე შემთხვევა ადასტურებს, რომ არის შემთხვევები როცა ყველა S არის P, რაც თავისთავად გამორიცხავს ჩვენს დანასკვს **SeP** არცერთი S არ არის P-ს.

31) **განვიხილოთ მესამე ფიგურის ოცდამეთერთმეტე მოდუსი (MoP)∧(MeS)⇒SiP** – oei: ზოგიერთი M არის P და არცერთი M არ არის S, მაშინ გამომდინარეობს **დანასკვი:** ზოგიერთი S არის P ანუ (MoP)∧(MeS)⇒SiP. ვაჩვენოთ, რომ ეს მოდუსი ***მცდარია .***

დამტკიცება: 1.18 ცხრილის სქემებიდან ნათლად ჩანს, რომ სამი განსხვავებული შემთხვევა მივიღეთ, ამიტომ ვასკვნით, რომ მოცემული **გამომდინარეობა** (MoP)∧(MeS)⇒**SiP არ არის ჭეშმარიტი. შესაბამისად III ფიგურის ოცდამეთერთმეტე მოდუსი მცდარია.** მესამე შემთხვევა ადასტურებს, რომ არის შემთხვევები როცა არცერთი S არ არის P, რაც თავისთავად გამორიცხავს ჩვენს დანასკვს **SiP** ზოგიერთი S არის P-ს.

32) **განვიხილოთ მესამე ფიგურის ოცდამეთორმეტე მოდუსი (MoP)∧(MeS)⇒SoP** – oeo: ზოგიერთი M არის P და არცერთი M არ არის S, მაშინ გამომდინარეობს **დანასკვი:** ზოგიერთი S არ არის P ანუ (MoP)∧(MeS)⇒SoP. ვაჩვენოთ, რომ ეს მოდუსი ***მცდარია .***

დამტკიცება: 1.18 ცხრილის სქემებიდან ნათლად ჩანს, რომ სამი განსხვავებული შემთხვევა მივიღეთ, ამიტომ ვასკვნით, რომ მოცემული **გამომდინარეობა** (MoP)∧(MeS)⇒**SoP არ არის ჭეშმარიტი. შესაბამისად III ფიგურის ოცდამეთორმეტე მოდუსი მცდარია.** მეორე შემთხვევა ადასტურებს, რომ არის შემთხვევები როცა ყველა S არის P, რაც თავისთავად გამორიცხავს ჩვენს დანასკვს **SoP** ზოგიერთი S არ არის P-ს.

(MaP)∧(MiS)⇒S-P





ცხრილი 1.19

33) **განვიხილოთ მესამე ფიგურის ოცდამეცამმეტე მოდუსი (MaP)∧(MiS)⇒SaP** – aia: ყველა M არის P და ზოგიერთი M არის S, მაშინ გამომდინარეობს **დანასკვი:** ყველა S არის P ანუ (MaP)∧(MiS)⇒SaP. ვაჩვენოთ, რომ ეს მოდუსი ***მცდარია .***

დამტკიცება: 1.19 ცხრილის სქემებიდან ნათლად ჩანს, რომ ორი განსხვავებული შემთხვევა მივიღეთ, ამიტომ ვასკვნით, რომ მოცემული **გამომდინარეობა** (MaP)∧(MiS)⇒**SaP არ არის ჭეშმარიტი. შესაბამისად III ფიგურის ოცდამემეცამმეტე მოდუსი მცდარია.** პირველი შემთხვევა ადასტურებს, რომ არის შემთხვევები როცა ზოგიერთი S არ არის P, რაც თავისთავად გამორიცხავს ჩვენს დანასკვს **SaP** ყველა S არის P-ს.

34) **განვიხილოთ მესამე ფიგურის ოცდამეთოთხმეტე მოდუსი (MaP)∧(MiS)⇒SaP** aia: ყველა M არის P და ზოგიერთი M არის S, მაშინ გამომდინარეობს **დანასკვი:** არცერთი S არ არის P ანუ (MaP)∧(MiS)⇒SaP. ვაჩვენოთ, რომ ეს მოდუსი ***მცდარია .***

დამტკიცება: 1.19 ცხრილის სქემებიდან ნათლად ჩანს, რომ ორი განსხვავებული შემთხვევა მივიღეთ, ამიტომ ვასკვნით, რომ მოცემული **გამომდინარეობა** (MaP)∧(MiS)⇒**SaP არ არის ჭეშმარიტი. შესაბამისად III ფიგურის ოცდამეთოთხმეტე მოდუსი მცდარია.** პირველი შემთხვევა ადასტურებს, რომ არის შემთხვევები როცა ყველა S არის P, რაც თავისთავად გამორიცხავს ჩვენს დანასკვს **SaP** არცერთი S არ არის P-ს.

35) **განვიხილოთ მესამე ფიგურის ოცდამეთხუთმეტე მოდუსი (MaP)∧(MiS)⇒SiP** – aii Datisi: ყველა M არის P და ზოგიერთი M არის S, მაშინ გამომდინარეობს **დანასკვი:** ზოგიერთი S არის P ანუ (MaP)∧(MiS)⇒SiP. ვაჩვენოთ, რომ ეს მოდუსი ***ჭეშმარიტი ,***

დამტკიცება: 1.20 ცხრილის სქემიდან ნათლად ჩანს,ზოგიერთი S არის P ანუ (MaP)∧(MiS)⇒SiP.



ცხრილი 1.20

36) **განვიხილოთ მესამე ფიგურის ოცდამეთექვსმეტე მოდუსი (MaP)∧(MiS)⇒SoP** – aio: ყველა M არის P და ზოგიერთი M არის S, მაშინ გამომდინარეობს **დანასკვი:** ზოგიერთი S არ არის P ანუ (MaP)∧(MiS)⇒SoP. ვაჩვენოთ, რომ ეს მოდუსი ***მცდარია*** .

დამტკიცება: 1.19 ცხრილის სქემებიდან ნათლად ჩანს, რომ ორი განსხვავებული შემთხვევა მივიღეთ, ამიტომ ვასკვნით, რომ მოცემული წანამძღვრების**(MaP)∧(MiS)⇒SoP არ არის ჭეშმარიტი. შესაბამისად III ფიგურის ოცდამეთექვსმეტე მოდუსი მცდარია.** პირველი შემთხვევა ადასტურებს, რომ არის შემთხვევები როცა ყველა S არის P, რაც თავისთავად გამორიცხავს ჩვენს დანასკვს **SoP** ზოგიერთი S არ არის P-ს.



ცხრილი 1.21

37) **განვიხილოთ მესამე ფიგურის ოცდამეჩვიდმეტე მოდუსი (MeP)∧(MiS)⇒SaP** – eia: არცერთი M არ არის P და ზოგიერთი M არის S, მაშინ გამომდინარეობს **დანასკვი:** ყველა S არის P ანუ (MeP)∧(MiS)⇒SaP. ვაჩვენოთ, რომ ეს მოდუსი ***მცდარია*** .

დამტკიცება: 1.21 ცხრილის სქემებიდან ნათლად ჩანს, რომ ორი განსხვავებული შემთხვევა მივიღეთ, ამიტომ ვასკვნით, რომ მოცემული წანამძღვრების **(MeP)∧(MiS)⇒SaP არ არის ჭეშმარიტი. შესაბამისად III ფიგურის ოცდამეჩვიდმეტე მოდუსი მცდარია.** მეორე შემთხვევა ადასტურებს, რომ არის შემთხვევები როცა არცერთი S არ არის P, რაც თავისთავად გამორიცხავს ჩვენს დანასკვს **SaP** ყველა S არის P-ს.

